

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 1 მარტის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი

ოქმი N1

ქ. ლაგოდეხი

1 ივნისი 2022 წლი

2022 წლის 1 ივნისს ჩატარდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2023 – 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი ჯონდო მდივნიშვილი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები:

ნინო ბატიაშვილი - მერის მოადგილე, გიორგი მჭედლიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, გიორგი მანგოშვილი - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, გიორგი ჩალათაშვილი - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი, ნატო ბატიაშვილი - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი/ მოვალეობის შემსრულებელი, ნათელა დათუკიშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ივანე წიქარიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი, გელა ლომიძე - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი და ნინო კუპრაშვილი - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო საბიუჯეტო კომისიის“, თავმჯდომარე;

დღის წესრიგი

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დადგენა და დახარისხება.

მომხსენებელი გიორგი მანგოშვილი

ჯონდო მდივნიშვილმა კენჭი უყარა, თუ ვინ არის მომხრე დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: 1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დადგენისა და დახარისხების შესახებ.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსმა გიორგი მანგოშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს შეახსენა, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022- 2025 წლების პრიორიტეტები სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ განისაზღვრა შემდეგი სახით.

- 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.
- 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება;
- 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- 04 00 განათლება;
- 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

გიორგი მანგოშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს შესთავაზა ემსჯელათ, საჭიროებს თუ არა ცვლილებას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 2023 – 2026 წლებისათვის.

ჯგუფმა იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 2023 – 2026 წლებისათვის დარჩეს უცვლელად.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ ჯონდო მდივნიშვილმა სამუშაო ჯგუფის წევრებს სთხოვა კენჭი ეყარათ, თუ ვინ არის მომხრე ლაგოდების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 2023 - 2026 წლებისათვის განისაზღვროს შემდეგი სახით:

- 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.
- 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება;
- 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- 04 00 განათლება;
- 05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- 06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

კენჭის ყრის შედეგად ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა: დადგინდეს ლაგოდების მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 2023 - 2026 წლებისათვის ზემოთ მოყვანილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ჯონდო მდივნიშვილმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

/ჯონდო მდივნიშვილი/

სამუშაო ჯგუფის წევრები:

/ნინო ბატიაშვილი/

/გიორგი მანგოშვილი/

/გიორგი მჭედლიშვილი/

/ივანე წიქარიშვილი/

/გელა ლომიძე/

/გიორგი ჩალათაშვილი/

/ნათელა დათუკიშვილი/

/ნატო ბატიაშვილი/

/ნინო კუპრაშვილი/